# Parents agreement | მშობლის ხელშეკრულება

**Tbilisi, Georgia**

| | | | |
|---|---|---|---|
| **1** | **Parent Guide Acknowledgment** | **1** | **მშობლის სახელმძღვანელოს დადასტურება** |
| **1.1** | Parent/Guardian | 1.1 | **მშობელი /მეურვე** |
| **1.2** | Student | 1.2 | **სტუდენტი** |
| | | | |
| **1.3** | I have received and read the guide for the International Educational Program in Artificial Intelligence and Robotics, provided by SpeakUp - Language Center [---]. After reviewing the content of the program and the procedures outlined in this agreement, I agree to comply with all the rules.<br><br>Note: In the event of force majeure, the program schedule may be subject to change. | 1.3 | მივიღე და წავიკითხე SpeakUp - Language Center [---] **ხელოვნური ინტელექტისა და რობოტიკის საერთაშორისო , საგანმანათლებლო პროგრამის სახელმძღვანელო .** (დანართი #1) პროგრამის შინაარსისა და ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების გაცნობის შემდეგ, ვეთანხმები ყველა წესის დაცვას.<br>**შენიშვნა** : ფორსმაჟორული სიტუაციის შემთხვევაში, პროგრამის განრიგი შეიძლება შეიცვალოს. |
| **2** | **Permission to Publish Child's Photos on Social Platforms** | **2** | **ბავშვის ფოტოებისა და ვიდეოების გამოქვეყნების ნებართვა** |
| **2.1** | SpeakUp - Language Center has the right and permission to use and/or publish photos of my child to share with parents and for promotional purposes on our social platforms. Photos and videos will be taken strictly within the framework of the program (classes, excursions, meal times, leisure activities, and other events). | 2.1 | SpeakUp - Language Center აქვს უფლება და ნებართვა გამოიყენოს და/ან გამოაქვეყნოს ჩემი ბავშვის ფოტოები მშობლებისთვის გასაზიარებლად და სარეკლამო მიზნებისთვის ჩვენს სოციალურ პლატფორმებზე. ფოტოები/ვიდეოები გადაიღება მხოლოდ პროგრამის ფარგლებში (კლასები, ექსკურსიები, საკვები, დასვენება და სხვა). |
| **3** | **Financial Agreement** | **3** | **ფინანსური შეთანხმება : მხარეთა პასუხისმგებლობა** |
| **3.1** | We agree that all payments for the China Winter Program must be made in advance, prior to the start of the camp, according to the following schedule:<br><br>$500 – within 7 days of registration;<br>$500 – by October 1st;<br>$500 – by November 1st.<br><br>**Total amount: USD 1,500** (one thousand five hundred US dollars) | 3.1 | ჩვენ ვთანხმდებით, რომ ყველა გადახდა ჩინეთის ზამთრის პროგრამისთვის უნდა განხორციელდეს წინასწარ, ბანაკის დაწყებამდე, შემდეგი განრიგით:<br><br>$ 500 - რეგისტრაციიდან 7 დღის განმავლობაში;<br>$ 500 - 1 ოქტომბერი;<br>$ 500 - 1 ნოემბერი<br><br>**ჯამურად 1500 აშშ დოლარი (ათასხუთასი )** |
| **3.2** | The program fee covers all expenses (transfers, internal transportation, three meals a day, accommodation, and activities included in the program), excluding flight tickets. | 3.2 | პროექტის ღირებულება მოიცავს ყველა ხარჯს, (ტრანსფერი, შიდა გადაადგილება, სამჯერადი კვება, სასტუმრო, პროგრამით გათვალისწინებული აქტივობები) გარდა ფრენის ბილეთებისა. |
| **3.3** | We agree that if the student registers between November 1, 2026, and November 30, 2026, I shall be obligated to pay the full program fee | 3.3 | ჩვენ ვთანხმდებით, რომ თუ სტუდენტი რეგისტრირდება 1/11/2026-დან 30/11/2026 შუალედში, ვალდებული ვარ გადავიხადო პროგრამის სრული საფასური. |
| **3.4** | If, for any reason, the student is unable to participate in the program, the amount paid shall be non-refundable | 3.4 | თუ რომელიმე მიზეზით სტუდენტი ვერ მოახერხებს პროგრამაში მონაწილეობის მიღებას, გადახდილი თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. |
| **3.5** | If, for any reason, the program date is postponed (or canceled) and the rescheduled date is not acceptable to the participant, the full amount paid, excluding the cost of flight tickets, shall be refunded to the parent/guardian to the same account from which the payment was made. | 3.5 | თუ ნებისმიერი მიზეზით პროგრამის თარიღი გადაიწევს, (ან გაუქმდება) და გადადებული თარიღი მონაწილესთვის მისაღები არ არის, ფრენის ბილეთის ღირებულების გარდა, გადახდილი თანხის სრული ოდენობა დაუბრუნდება მშობელს/მეურვეს, იმავე ანგარიშზე საიდანაც მოხდა თანხის ჩარიცხვა. |
| **3.6** | In the event of a flight delay and/or cancellation, refunds shall be processed in accordance with the airline's refund policy, and SpeakUp Language Center shall not be obligated to refund any amount to the parent/guardian. | 3.6 | ფრენის რეისის გადადების ან/და გაუქმების შემთხვევაში, თანხის დაბრუნება მოხდება ავიაკომპანიის დაბრუნების პოლიტიკის მიხედვით და ასეთ შემთხვევაში SpeakUp Language Center არ იღებს ვალდებულებას დააბრუნოს ნებისმიერი ოდენობის თანხა მშობელს/მეურვეს. |
| **3.7** | We agree that my child (the student) will not be admitted to the camp if the fee is not paid in full. In such an event, any payments already made shall be non-refundable. | 3.7 | ჩვენ ვთანხმდებით, რომ ჩემი შვილი (სტუდენტი) არ დაიშვება ბანაკში, თუ გადასახადი სრულად გადახდილი არ არის. ასეთ შემთხვევაში გადახდილი თანხა დაბრუნებას არ ექვემდებარება. |
| **4** | **Behavior Management and Discipline Policy** | **4** | **ქცევის მონიტორინგი და პასუხისმგებლობა** |
| **4.1** | This policy is not intended to punish students for misbehavior but to establish positive expectations for student behavior. The camp rules are based on the following 3 principles:<br>1. Safety, 2. Respect the property of the hotel and other visited locations, 3. Follow program rules | 4.1 | ეს პოლიტიკა არ ემსახურება სტუდენტ(ებ)ის დასჯას არასათანადო ქცევის გამო, არამედ მიზნად ისახავს დაამკვიდროს სტუდენტებში პოზიტიური და უსაფრთხო გარემო. ბანაკის წესები ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: 1. უსაფრთხოება; 2. სასტუმროსა და სხვა ვიზიტირებული ადგილების ქონების პატივისცემა; 3. პროგრამის წესების დაცვა. |
| **4.2** | The student must follow the camp rules, arrive on time for scheduled meetings, stay with the group, and not meet with unauthorized individuals outside the program | 4.2 | სტუდენტმა უნდა დაიცვას ბანაკის წესები, დროულად გამოცხადდეს შეხვედრებზე, დარჩეს ჯგუფთან და არ შეხვდეს უცნობ პირებს პროგრამის გარეთ. |
| **4.3** | The student understands they are not allowed to leave the hotel premises at the end of the day without informing staff. | 4.3 | დღის ბოლოს სასტუმროს ტერიტორიიდან გასვლა დაუშვებელია ზედამხედველის ინფორმირების გარეშე. |
| **4.4** | The student understands they must follow the scheduled program times (participants must be in their rooms after 22:30). If leaving the room after 22:30, the supervising teacher must be informed. | 4.4 | პროგრამის განსაზღვრული დროების დაცვა აუცილებელია (მონაწილეები დარჩებიან ოთახში 22:30 საათის შემდეგ). ოთახის დატოვების შემთხვევაში ზედამხედველი უნდა იყოს ინფორმირებული. |
| **4.5** | The student understands that alcohol or illegal substances must not be used during the program. | 4.5 | ალკოჰოლის ან აკრძალული ნივთების გამოყენება დაუშვებელია. |
| **4.6** | The student understands that they must not carry/buy age-inappropriate or dangerous items (knife, sharp objects) that may harm themselves or others. | 4.6 | არ შეიძლება ასაკის შეუფერებელი ან საფრთხის შემცველი ნივთების ტარება/შეძენა (ჩანგალი, მჭრელი ნივთები), რომლებმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს საკუთარ თავს ან სხვას. |
| **4.7** | The student must respect hotel rules, property, and staff. In the event of intentional or accidental damage, parents may be held liable for compensation. | 4.7 | პატივი უნდა სცეს სასტუმროს წესებს, ქონებას და პერსონალს. განზრახ ან შემთხვევითი ზიანის მიყენების შემთხვევაში მშობლებს შესაძლოა დაეკისროთ ჯარიმა. |
| **4.8** | My child understands they must not argue or fight with other students. In case of any misunderstanding, they must contact the program leader immediately. | 4.8 | არ უნდა ჩაერთოს კამათში ან ჩხუბში სხვა მოსწავლეებთან. პრობლემის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოს პროგრამის ხელმძღვანელს. |
| **4.9** | The student understands that they must not take any medication without consulting the supervisor. For ongoing treatment prescribed by a doctor, the supervisor must know the medication name and schedule. | 4.9 | მედიკამენტების მიღება დაუშვებელია ზედამხედველის შეთანხმების გარეშე. მუდმივი მკურნალობის შემთხვევაში, ზედამხედველმა უნდა იცოდეს მედიკამენტის სახელი და დრო. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **4.10** | The student must follow all safety rules at the visited locations (must not touch exhibits in museums, enter restricted areas, climb high structures, etc.). | 4.10 | დაიცვას ყველა უსაფრთხოების წესები ვიზიტირებულ ადგილებში (მუზეუმებში ექსპონატებს არ შეეხოს, აკრძალულ ადგილებში არ შევიდეს, არ ავიდეს მაღალ სტრუქტურულ ნაგებობებზე და ა.შ.). |
| **4.11** | SpeakUp Language Center assumes no responsibility for any lost personal belongings. | 4.11 | SpeakUp Language Center არ იღებს პასუხისმგებლობას დაკარგულ პირად ნივთებზე. |
| **4.12** | The student is required to wear the SpeakUp Language Center branded T-shirt during all activities specified within the program | 4.12 | სტუდენტი ვალდებულია ჩაიცვას SpeakUp Language Center - ის ბრენდირებული მაისური პროგრამის ფაგლებში დადგენილ ყველა აქტივობაში. |
| **5** | **Public Transport Rules in China** | **5** | **საზოგადოებრივი ტრანსპორტის წესები :** |
| **5.1** | Cross streets only at pedestrian crossings and only when the green light is on | 5.1 | გზის გადაკვეთა მხოლოდ გადასასვლელზე, როცა მწვანე სიგნალია; |
| **5.2** | Wait for passengers to exit before entering trams/buses/metro | 5.2 | ლოდინი სანამ მგზავრები ჩამოდიან ტრავმაიდან/ავტობუსიდან/მეტროდან; |
| **5.3** | Maintain quiet in public transport | 5.3 | სიმშვიდის შენარჩუნება საზოგადოებრივ ტრანსპორტში; |
| **5.4** | Do not argue or fight with passengers | 5.4 | კამათისა და ჩხუბის თავის არიდება; |
| **5.5** | Wait on the safe side of the platform and do not cross marked lines | 5.5 | უსაფრთხო მხარეს ლოდინი, აღნიშნული ხაზის გადაკვეთა დაუშვებელია. |
| **6** | **DISCIPLINARY ACTIONS FOR BREAKING THE RULES** | **6** | **დისციპლინური ღონისძიებების წესების დარღვევის შემთხვევაში** |
| **6.1** | FIRST WARNING: Private conversation with supervising leader. | 6.1 | გაფრთხილება 1: ინდივიდუალური საუბარი ზედამხედველთან. |
| **6.2** | SECOND WARNING: Participant loses access to certain camp activities. Parents will be called. | 6.2 | გაფრთხილება 2: გარკვეულ აქტივობებზე შეზღუდვა, მშობლების შეტყობინება. |
| **6.3** | THIRD WARNING: Additional restrictions, possibly excluding field trips. Call parents and meet with the school director. | 6.3 | გაფრთხილება 3: დამატებითი შეზღუდვები, შესაძლებელია ექსკურსიების გამორიცხვა, მშობლების შეტყობინება, დირექტორთან შეხვედრა. |
| **6.4** | FOURTH WARNING: The Participant may be removed from the program and sent home with a supervisor. | 6.4 | გაფრთხილება 4: მონაწილე შეიძლება ამოღებული იქნას პროგრამიდან და წაიყვანონ სახლში ზედამხედველთან ერთად. |
| **7** | **Final Provisions** | **7** | **დასკვნითი დებულებები** |
| **7.1** | The parties signing this agreement confirm that all terms and conditions of the agreement are fully understood by them and agreed to | 7.1 | ამ ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების ყველა პუნქტი და პირობა, გაგებულია მათ მიერ სწორად და ეთანხმებიან მათ. |
| **7.2** | This agreement is made in Georgian and English, in two copies - one for each party. Both copies have equal legal force. | 7.2 | წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე, ორ ეგზემპლარად - ყოველი მხარისათვის ცალ-ცალკე. ორივე ეგზემპლიარს გააჩნია ერთნაირი იურიდიული ძალა. |
| **7.3** | Any dispute arising between the parties shall be settled through negotiations. In the event of failure to reach an agreement, the dispute shall be resolved by the courts of Georgia in accordance with Georgian legislation | 7.3 | მხარეებს შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. |
| **8** | **SIGNATURE \| ხელმოწერა** | | |
| | **Parent/Guardian - მშობელი /მეურვე** | | **სფიქაფი - უცხო ენის ცენტრი \| SpeakUp Language Center** |
| | | | |
| | | | |
| | | | |